

П Р И М Е Ч А Н И Я

Давид Зурабович Чхотуа (1849—192...), родом абхаз, из Самурзаканн, принадлежит к либеральному крылу груз. феодалов-интеллигенции, выступившей на общ. поприще в конце шестидесятых гг. XIX в. Окончил ест. фак. петерб. ун-та в 1875 г. В 1876 обвинен в убийстве Н. Андреевской, на самом деле утопившей в Куре, что установлено документально. В 1878 сослан на каторгу, где и провел, совершенно бездельный, большую часть своей жизни. В ссылке написал обширное исследование о поэме Руставели, ныне утерянное; небольшая его часть, публикуемая нами, представляет собой „лекцию, читанную на съезде сельск. учителей в Зугдиди“, в 1917—18. Эти очерки, отражая, частично, взгляды на великую поэму соц.-культ. круга, к которому принадлежал Чхотуа, являются вполне оригинальн. произведением автора, которое отныне должно занять, по нашему мнению, не последнее место в литературе о Руставели: содержит некоторые неверные или устаревшие, методологически и фактически, утверждения (особ., в I гл., а также во II гл.), вместе с тем, лекция отмечена глубиной анализа и широтой обобщений, облекаемых в оригинальн. суждения, и критически освоения, может быть полезна соврем. читателю, который уже стремится к подлинно научному разрешению проблемы. Текст рукописи, весьма скверно отпечатанный на машинке, подвергся с нашей стороны, незначительной орфографич. и стилистич. обработке и более значительн. купюрам (отмечено словом): „[пропуск]“, — выпущены мес-та, с явно ошибочными рассуждениями автора, не имеющими значения для уразу мения основы. взглядов Ч. на самый литератури. памятник. Вставки редактора даются в квадрат. скобках.—Д. Ч. оставил и другие литературн. труды.

С. Джанашиа

დავით ჩხოტუა და მისი ნაწევრები „ვაშხისძეარსენის“ შესახებ

ზემოთ დაბეჭდილი ლიტერატურული დოკუმენტის ავტორია დავით ზურაბისძე ჩხოტუა. ტომით აფხაზი ¹, იგი დაიბადა 1849 წ. ² სამურზაყანოში, სოფ. საბერიოში. შინაური განათლების მიღების შემდეგ, დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და, ერთი პირველთაგანი აფხაზთა შორის, შევიდა უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1875 წ. მან უნდა დაემთავრებინა ყოფ. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღნიშნული ფაკულტეტი. მაგრამ რადგანაც უკანასკნელი გამოცდა მარცხით გათავდა, გამოცდები გადასდო შემდგომი წლისათვის და დასთანხმდა ცნობილი გიორგი შარვაშიძის წინადადებას მიეღო თავისთავზე შარვაშიძისეული მამულების გამოგება აღმ. საქართველოში ¹, რისთვისაც დაბინავდა ტფილისში, 1876 წ. ბრალი დასდეს შარვაშიძის ცოლის დოს, ნინა ანდრეევსკაიას მოკვლაში (ნამდივლად, როგორც ჩანს, ქალი დაიბრნო მტკვარში ბანაობის დროს) და დააპატიმრეს. 1878 წ. მარტის 5-ს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ფაქტიური საბუთი, ჩხოტუას საწინააღმდეგო, სასამართლოს არ

¹ Училище девицы Н. Э. Андреевской (სასამართლო პროცესის ანგარიში), Т. 1878, გვ. 209.

² იქვე, გვ. 1, 232 და სხვ.

ქონდა, მას მიუსაჯეს, უმაღლეს ხელისუფალთა ინსპირაციის თანხმად, ყველა უფლებების აყრა, 20 წლის საკატორღო სამუშაოები და მუდმივი გადასახლება. აქ დასახლებულნი ავტორის განცნობა ყოველ ობიექტურ მეთოდებს დღესაც დაარწმუნებს, თუ რამდენად უდანაშაულონი იყვნენ დასჯილნი და როგორ საზიზღრად იყო შეთითხნილი მთელი ეს საქმე მეფის სატრაპების მიერ. თვით სასამართლოშიც იყო ნათქვამი და ჩვენ კიდევ უფრო მეტი უფლებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ განაჩენი არსებითად მიმართული იყო გიორგი შარვაშიძის წინააღმდეგ. საამისო საუფუძველი ქპონდა საქმის მთავარ სულისჩამდგმელს, კავკასიის იმპერატორულ „ნამესტნიკს“, დიდ მთავარს, მიხეილ ნიკოლოზისძეს. სწორედ ამ უკანასკნელმა გადააყენა გიორგის მამა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძე აფხაზეთის მთავრობიდან, დაპატიმრა იგი (1864) და პატიმრობაში სული ამოჰხადა. მანუე ჩაქო დიდი სისასტიკით აფხაზეთში ამტყდარი დიდი სახალხო აჯანყება (1866), რომელიც პასუხი იყო ახლადამყარებული რუსული მმართველობის მეთოდების მიმართ და რომელმაც, სულ მოკლე ხნით, გააშთავრა აფხაზეთში გიორგი შარვაშიძე. ამავე მეფისნაცვალის ინიციატივით, აფხაზეთის ყოფ. მთავრის ოჯახს ჩამოერთვა ყოველგვარი ქონება და შეექმნა უალრესად დამამკირებელი მდგომარეობა. ცხადია ამიტომ, რომ მიხეილ ნიკოლოზისძე გიორგი შარვაშიძეში ბუნებრივ მტერს ხედავდა. ამას ზედ ერთოდა პირადი ხასიათის ანტიპათიები შარვაშიძის მიმართ დიდი მთავრის ოჯახში, და ასეთივე ხასიათის სიმპათიები ანდრეევსკის მიმართ (ქალის მამა იყო „ნამესტ“. ვორონცოვის ექიმი). რადგანაც ანდრეევსკის ქალი დაიღუპა შარვაშიძის სახლში, სადაც გამგედ ამ დროს დავით ჩქორტუა (შარვაშიძის ძიძიშვილი და ახლომელი აღმზიანი) იყო, ამიტომ „ბოროტმოქმედების“ ობიექტური გარემოც, ცრუ მოწმეებისა და პოლიციის მიერ შეთითხნილი საბუთების მიერ დასურათხატებული, „ნება“ იყო. ახალგაზრდა, ნიჭიერი (ამ ნიჭს აქ გამოკვეთნებული ნარკვევიც ცხადად მოწმობს), დავით ჩქორტუას მთელი ცხოვრება გულდამწვინებით იქნა განწირული. შემდეგში ეს საქმე გადატანილ იქნა ტფ. სასამართლო პალატაში, სადაც მას იცავდა სახელგანთქმული იურისტი, პროფ. ვ. დ. სასოვიჩი, ხოლო ექსპერტად იყო სასამართლო მედიცინის პროფ. ი. მ. სოროკინი. უკანასკნელმა, „ფაქტიურ მონაცემების საფუძველზე დაასკვნა რომ ნ. ანდრეევსკის ქალი დაიბრჩო წყალში, ძალდატანებითი სიკვდილის ყოველ გვარი ნიშნების გარეშე“. სასოვიჩმა ბრწყინვალე სიტყვაში¹ გააცამტვერა ბრალდება და ყველა ბრალდებულს სრულიად უდანაშაულოდ აღიარა². მიუხედავად ამისა, პალატამ საოლქო სასამართლოს განაჩენი დამტკიცა მთლიანად, 2 ხმის უმეტესობით 1 ის წინააღმდეგ³, რადგანაც „ასეთი იყო მითითება ზეიდან“ (ჩქორტუას პირველი დამკველის, ნ. ორბელიანის, ცნობა). თავისი წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში, 1893 წელსაც, სასოვიჩი ჩქორტუას საქმის შესახებ წერდა: „По Тифлисскому делу не могу домыслить отрешиться от г. удачишнего убеждения, что оно кончилось печальною ошибкою, что пострадали невинные люди, ука-занные заслуждающиеся народною молвою“⁴.

დ. ჩქორტუა მხოლოდ სიბერეში, ეგონებთ 1906 წ., უკვე ფიზიურად განადგურებული, დაბრუნდა სამშობლოში.

დავით ჩქორტუა როგორც წარმოშობით, ისე აღზრდითა და მიმართულებით, ეკუთვნის ქართველ ფეოდალურ ინტელიგენციას, უფრო ამ ინტელიგენციის ლიბერალურ ფრთას. დამახასიათებელია ამ მხრივ მისი კავშირი გიორგი შარვაშიძესთან, რომელიც თვითონ იყო ნიჭიერი პოეტი და, საზოგადოდ, საინტერესო პიროვნება⁵. შარვაშიძე და ჩქორტუა არა მარტო

¹ იქვე, 156—157.

² იხ. Сочинения В. Д. Сасовича, т. VI, С.-П. 1894 г. გვ., 178.

³ ეს სასამართლო გამოსულა სასოვიჩის ერთ საუკეთესო გამოსულად ითვლება, იხ. Энцикл. слов. Брокгауза и Эфрона, XXXI, გვ. 143, ა. კონის წერილი.

⁴ Сочинения, 178—276.

⁵ იქვე, 276.

⁶ იქვე, წინასიტყვაობა.

⁷ მის შესახებ იხ. ჩვენი „ერთი გვერდი ქართული კულტურის ისტორიიდან“, „შობი-ლილევი“, ტ. II.

ერთობიდანვე ქვეყნიდან არიან, ისინი არა მარტო უკავშირდებიან ერთმანეთს იმ ჩვეულებების ძალით, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მთიელებისათვის, არამედ ერთსადანამდე საზოგადოებრივ-კულტურულ წრეს ეკუთვნიან მთელი თავისი აღზრდითა და სოფლმხედველობით. შარავშიძე, როგორც „საეპოკო“ პირი, დევნილი იყო მეფის მთავრობისაგან და მასაც დიდხანს აფხაზეთში ცხოვრების უფლება არა აქვს. ორივენი აღზრდილი არიან ძველი ქართული ფეოდალური კულტურის ნადაგზე და საუცხოოდ იცნობენ მას, ორივენი თანამშრომლობენ „დროებაში“, რომელიც იმ დროს (სამოციდაათიან წლების დამდეგს) ყველაზე პროგრესული ორგანიზაცია იყო საქართველოში¹. ჩვენ მოგვეპოვება ლიტერატურული საბუთები, რომელთა მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ რომ ჩქორტუას აზრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, აქ გამოქვეყნებულ ნარკვევებში გამოთქმული, მეტნაკლებად საერთო უნდა ყოფილიყო მთელი ამ წრისათვის (ე. შარავშიძე ზედმიწევნით იცნობდა რუსთაველის პოემას და მანაც ზეპირად იცოდა მისი ტექსტი). აღნიშნული შეხედულებები პოემის შესახებ ნაწილობრივ ნაყოფია მისი ახალი განხილვისა ევროპის ბურჟუაზიულ კულტურის თვალსაზრისით, ნაწილობრივ კიდევ ისინი იმეორებენ ტრადიციით გადმოცემულს, თაობათა სიგრძეზე შემუშავებულ აზრებს ქართველი ფეოდალური არისტოკრატის მოწინავე წრეებისას². ამიტომ, დ. ჩქორტუას ნარკვევებს, პირველ ყოვლისა, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ისინი წარმოადგენენ საყურადღებო მასალას იმის გასარკვევად, თუ როგორ იყო გარდატეხილი ეს უდიდესი ლიტერატურული ძეგლი აღნიშნულ სოციალურ წრის ცნობიერების პრიზმაში.

ამჟამად, „ნარკვევები“, რათქმუნდა, კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება და ამდენადვე, კრიტიკულ ათვისების საგანს უნდა წარმოადგინდეს. აეტორს, იმ მოსახრებათა გარდა, რომელთაც ჩვენ არა მარტო მეთოდოლოგიურად, არამედ ფაქტიურადაც ვერ გავიზიარებთ (განსაკუთრებით I თ. და II თ-ის ზოგიერთი ადგილი) ისეთი შეხედულებებიც აქვს გამოთქმული, რომელთაც თანამედროვე რუსთაველოლოგიამ სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს. ასეთია განსაკუთრებით მეორე თავის პირველი ორი პარაგრაფი, აქ ავტორი დაკვირვებისა და განხილვისას მალაღ დონეს აღწევს. ამიტომ ჭეშმარიტად დასანანია რომ ჯერჯერობით არსად ჩანს ის ვრცელი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რომელიც ავტორს, ერთი კერძო ცნობით, ტფილისში გადმოუგზავნია გამოსაკვეთებლად და აქ სადღაც დაკარგულა. აქ წარმოდგენილი ნარკვევები, როგორც ჩანს, მხოლოდ მცირე ნაწილია დაკარგული ნაშრომისა. ეს ნაწილიც შემთხვევით გადაურჩა დაღუპვას. ჩვენ ის მოვიპოვეთ ავტორის ძმიშვილის, რ. E. ჩქორტუას, ოჯახში, როცა მასალებს ვეძებდით სწორედ ზემოთდასახელებულ საზოგადოებრივ წრის ისტორიისათვის. ხელნაწერი უკვე დაშლილი იყო და სინესტისაგან საქმოდ დანაიანებული. იგი საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და ორ თავადაა გაყოფილი, რომელთაგანაც პირველის სათაურია: „Поэма „Вепхисткаосани“ и ее герои“, ხოლო მეორისა— „Мировоззрение героев „Вепхисткаосани“. პირველი სათაურის შემდეგ ფრჩხილებში აღნიშნულია: „Лекция, читанная на с'езде сельских учителей в м. Зугдиди“. არ ჩანს, შეეხება ეს შინაშენა ორივე თავს, თუ მხოლოდ პირველს. ყოველ შემთხვევაში ცხადია რომ ხელნაწერი არ წარმოადგენს სტენოგრაფიულ ჩანაწერს ლექციისას, არამედ არის ამ უკანასკნელის კონსპექტი. ციტატები პოემიდან ჩაწერილია ხელით, საფიქრებელია, თვით ავტორის მიერ. საფიქრებელია, და ასე გვარწმუნებენ ხელნაწერის პატრონნიც³, რომ აღნიშნული ლექცია წაკითხული იყო თებერვლის რევოლუციის შემდეგ (1917 ან 1918 წ.).

ტექსტში ჩვენ ზოგიერთი ცვლილებები შევიტანეთ: ამოვიღეთ ზოგიერთი ადგილები, რომელთაც თანამედროვე მეთოდებისათვის აღარა აქვთ მნიშვნელობა, აქაიქ ორთოგრაფიული და სტილისტიკური მალაშინი გავჭკაჩით ტექსტს (მემანქანეს ძალიან დაუმზახნებია იგი,

¹ დ. ჩქორტუას ერთი წერილი, — „ორი ჩვეულება აფხაზეთში“, — დაბეჭდილი იყო „დროებაში“ უკვე 1872 წ., № 30. ამავე გაზეთში იბეჭდება მისი სხვა წერილებიც.

² ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანის გამო“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1935 წ. 30 იანვრის ნომერი.

³ რ. E. ჩქორტუასა და მის ოჯახს დიდ მადლობას მოვუხსენებთ ხელნაწერისა და ცნობების გადმოცემისათვის.

ხოლო ავტორს ეს შეცდომები ვერ შეემჩნეოდა და მცირედნად შეესცვალეთ სათაურების რედაქციაც (რაკი მთელ წერილს საერთო სათაური გაუყეთდა). თვით სტრუქტურა-კი წერილისა ხელუხლებელი დარჩა. ამოღებული ადგილები ტექსტში აღნიშნულია სიტყვით: „[ПРИУСКИ]“. ხოლო ჩასმული სიტყვები მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. გარდა ამისა, რაკი ავტორი არასად არ უჩვენებდა იმ სტროფების სათვალავს, რომელთაც ეკუთვნის მის მიერ ნოტანილი ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“, ჩვენ მოვსძებნეთ ყველა აღნიშნული ციტატა და მათი ადგილიც ვუჩვენეთ პოემაში (სტროფების სათვალავი ნაჩვენებია პროფ. ი. აბულაძის 1926 წ. გამოცემის მიხედვით). აქ ჩვენთვის გამოირკვა ერთი საინტერესო გარემოება (რანაც, სხვათა შორის, ძალიან გაართულა ჩვენი მუშაობა), რომ თითქმის არც ერთი ციტატა უცვლელად არ იმეორებდა „ე.ტ.“-ის ნაბეჭდი გამოცემების ტექსტს. უეჭველია, რომ ავტორის მიერ ეს ციტატები გაკეთებული იყო ხ ე კ ი რ ა დ და რომ, მისი საკუთარი განცხადებისა არ იყოს, მან, მართლაც, მთელი პოემა ზეპირად იცოდა.

დ. ჩქორტუას მოგაოვება სხვა ნაშრომებიც, კერძოდ ბუნებისმეტყველების სფეროდან. გარდაიცვალა იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სოფ. ყულისკარში, სადაც, ჩვენი ცნობებით, მას დარჩა პირადი არქივი, რომელიც აუცილებლად მოსაძებნია და ტფილისში გადმოსატანი, სათანადო ადგილას დასაცავად.

წერილი უკვე აწყობილი იყო როცა ნ. ყ. თავდგირიძემ და შ. ნ. დადიანმა დაგვიდასტურეს რომ დ. ჩ.-ს ჰქონდა ეროცელი გამოცემა „ე.ტ.“-ის ესაზე, ნაყოფი მრავალწლოვანი მუშაობისა გადასახლებაში. ავტორს ეს ნაშრომი, როგორცაღ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ცნობის მომწოდებლებზე, 1920 წ. გადმოუგზავნია ტფილისში, საჭ. მსახიობთა კავშირში (რომლის თანამჯდომარე მაშინ ყოფილა კ. ანდრონიკაშვილი).

ს. ჯანაშია